ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №4912905

ნომერი: AR1734741

თარიღი : 14.02.2020

გაცემის თარიღი : 25.03.2020

გაცნობის თარიღი : 25.03.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , ნაკვეთი 01/040 ; ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩაზე, საკალათბურთო კლუბ "დინამო"-სათვის დამაგრებული ტერიტორიის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N187;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან მამისაშვილი პ/ნ 01021001076
- ქ. თბილისი, ავშნის ქ. #126

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის #596 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 14 თებერვლის AR1734741განცხადებით მომართა ლევან მამისაშვილმადა მოითხოვა ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის #596 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთის ახალი საკადასტრო გეგმისა დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების

საქალაქო სამსახურის მიერ 2008 წლის 27 ივნისს ქ. თბილისში, დიდუბე–ჩუღურეთის რაიონში, ბელიაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.13.02.001.008; ფართობი: 1500.00 კვ.მ.) რესტორნის განთავსების მიზნით დამტკიცდა #596 ქალაქმშენებლობითი პირობები. რის შემდგომაც, წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული №01.13.02.001.053, №01.13.02.001.051; 920.00 კვ.მ. და 1019.00 კვ.მ.), რომლის თანახმადაც სამსახურის 2013 წლის 6 აგვისტოს №829379 ბრძანებით შევიდა ცვლილება აღნიშნულ წის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითა- 920.00 კვ.მ. და 1019.00 კვ.მ., ხოლო საკადასტრო კოდი დაფიქსირდა - № 01.13.02.001.053, № 01.13.02.001.051.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ შეიცვალა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის ფართობი.
დღეის მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის #596 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილებას და ახალი საკადასტრო გეგმისა და ფართობის (ს/კ № 01.13.02.001.069; № 01.13.02.001.053 ) (1380.0 კვ.მ; 920.0 კვ.მ) დაფიქსირებას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის #596 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად,

## ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის #596 ქალაქმშენებლობით პირობებში, კერძოდ:
ა) დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: N 01.13.02.001.069, ფართობი 1380.0 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი N 882019120658; რეგისტრაციის თარიღი : 22/03/2019 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N 882019120658, რეგისტრაციის თარიღი 19/02/2019 წ.); (საკადასტრო კოდი: N 01.13.02.001.053, ფართობი 920.0 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი N 882013277378; რეგისტრაციის თარიღი : 18/06/2013 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N 882014683118, რეგისტრაციის თარიღი 18/12/2014 წ.)
ბ) N 01.13.02.001.051 საკადასტრო კოდით დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან გაერთიანების შედეგად მომატებული ტერიტორიის (361 კვ.მ) რესურსის (განაშენიანების კოეფიციენტი კ1) გამოყენების უფლების გარეშე.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის #596 ქალაქმშენებლობით პირობებთან და ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 6 აგვისტოს №829379 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

---

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენლებით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების” და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;

- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.